

როსტომ კაჭახიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის
მიმართულების დოქტორანტი

**სულხან-საბა ორბელიანის XX საუკუნეში
გავრცელებული პორტრეტის წარმომავლობა და
ავტორი**

საკვანძო სიტყვები: პორტრეტი, მინიატიურა, ნახევდი წიგნი სულხან-საბა ორბელიანი, სევერიან მაისაშვილი, ლადო გრიგოლია, ლადო გუდიაშვილი.

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) როგორც პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწე XVII-XVIII საუკუნეების ქართლის რეალური მდგომარეობის გამომხატველია. იგი იყო შთამომავალი შექმნილი და გავლენიანი ფეოდალის – ყაფლანის, და ძე „საქართველოს ბჭეთ-მთავრისა და მოსამართლეთ უხუცესის“, ყაფლანის შვილის ვახტანგის. დედამისი თამარი იყო ასული ანთისპარსული მოძრაობის და სულისჩამდგმელის, ზაალ არაგვის ერისთავისა.¹

სულხანის განათლებას ფართო დიაპაზონი ჰქონდა. როგორც მისი თხზულებებიდან ჩანს, კარგად იცოდა ღვთისმეტყველება და სასულიერო მწერლობა, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, მათემატიკა, ფილოლოგია და უცხო ენები. ეს ცოდნა პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ კულტურულ-ლიტერატურული საჭიროებითაც იყო გამოწვეული.² სულხან-საბას შემოქმედება და ცხოვრება მრავალმხრივად არის შესწავლილი. დღემდე მოღწეულია სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტის მრავალგვარი იკონოგრაფიული სახე – როგორც მისი თანამედროვე მხატვრების, ისე უახლესი ხელოვნების წარმომადგენელთა მიერ შესრულებული. ფაქტია, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგში არსებული უერთიერთგანხვავებული ვარიაციების მიუხედავად, ჩამოყალიბდა სულხან-საბას სახისმეტყველება და დღეს მისი გახსენებისას თვალწინ წარმოგვიდგება გრძელი, ჭაღარა თმა-წვერია-

1 ბარამიძე, სულხან-საბა, 1959, გვ. 7.

2 მერტველი, გვახარია, სულხან-საბა, 1959, გვ. 184-185.

ნი, საბერო შავი სამოსით მოსილი, შუახანს გადაცილებული ასკეტური გარეგნობის მქონე მამაკაცი; ასეთივე იკონოგრაფიული სახე შემოგვთავაზებს მხატვრებმა: სევერიან მანსაშვილმა (1931), ლადო გუდიაშვილმა საბას ორი პორტრეტი შეასრულა (1938 და 1958), ლადო გრიგოლიამ (1938), სილოვან კაკაბაძემ (1947), ზურაბ სამხარაძემ (1959) და სხვ. ასეთ მრავალფეროვნებაში გვხვდება, როგორც ჯერ კიდევ ჭაბუკი ერის კაცი სულხანის, ისე ახალგაზრდა მლოცველი ბერი საბას პორტრეტებიც. სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტები რაოდენობრივი თვალსაზრისით თითქმის უტოლდება შოთა რუსთაველის პორტრეტებს. ინტერესი, ამ დიდი პიროვნების მიმართ დღემდე ამოუწურავია.

ჩვენამდე მოღწეულ პორტრეტთა შორის, ქრონოლოგიური რიგით პირველი მცდელობა გვხვდება XVIII საუკუნის ხელნაწერში - „ქილილა და დამანა“, რომელიც ქართულ ენაზე ნათარგმნი მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებითა და უშუალო მონაწილეობით. მისივე დავალებით ამ საქმეში იყო ჩართული სხვადასხვა მოღვაწე, ზოგი მთარგმნელობით საქმეს ეწეოდა, ზოგი ტექსტის რედაქტირებით იყო დაკავებული, ზოგიც მხატვრულად აფორმებდა და სხვ. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული სულხან-საბა ორბელიანიც. ხელნაწერი პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში P2 ნომრით ინახება. მისი გადაწერის თარიღის შესახებ ვიცით, რომ შექმნილია 1717 წლის შემდეგ, ხოლო დასრულება 1724 წლის შემდეგაა სავარაუდებელი.¹ (სურ. 1)

ხელნაწერი უხვი მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა, როგორც ტექსტის იგავური ხასიათის სიუჟეტური გამოსახულებებით გამდიდრებული თხრობით, ისე იმ ისტორიულ პირთა გამოსახულებებით, რომლებმაც ტექსტის პერიოდულ გამართვაში მიიღეს მონაწილეობა. სწორედ ამიტომაც არიან ისინი ვახტანგ VI-ის მიმართ მიძღვნა-მირთმევის სიუჟეტური სახით წარმოდგენილნი. მათ შორის, შესავალშივეა სულხან-საბა, რომელსაც იმდენად დიდი შრომა გაუწევია ტექსტის რედაქტირების საკითხში, რომ „ქილილა და დამანას“ ამ რედაქციას, მეორენაირად „საბასეულს“ უწოდებენ.

„ქილილა და დამანას“ დასურათებულმა ხელნაწერმა შემოგვინახა სულხან-საბა ორბელიანის პირველი, რეალურთან ყველა-

¹ ხუსკივაძე, ქართული, 1976, გვ.116.

ზე მეტად მიახლოებული იკონოგრაფიული სახე, რომელიც თავად საბას სიცოცხლის დროს შეიქმნა და სწორედ ამ გამოსახულებიდან იღებს სათავეს XX საუკუნის ქართველი მხატვრებისა და მოქანდაკეების მიერ მხატვრულად გააზრებული სულხან-საბას სახისმეტყველება.

კიდევ ერთი პორტრეტი, რომელიც საბას გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, 1730 წელს არის შესრულებული და დართული აქვს საბას ლექსიკონის „დედანიდან“ გადაწერილი პირის ფორმაც,¹ საბას თანამედროვე მოღვაწემ, დეკანოზმა ალექსი მესხიშვილმა შეასრულა. მანვე დაურთო პორტრეტი მისსავე გადაწერილ სულხან-საბას „სიტყვის კონას“, თანამედროვე მწერლისა და მოღვაწის ხსოვნის აღსანიშნავად. ლექსიკონი მნიშვნელოვანი ისტორიული და ლიტერატურული ღირებულებისა და განეკუთვნება სულხან-საბას სამეცნიერო ხასიათის შრომებს. ალექსი მესხიშვილის შესრულებულ პორტრეტზე, საბას მეცნიერულ ღვაწლზეც კეთდება აქცენტები. (სურ. 2)

ბერს მუქი ოქროსფერი შარავანდი ადგას. ჭაღარა თმა უკან აქვს გადავარცხნილი და კულულებად ეშვება მხრებზე, წაგრძელებული წვერი კი ბოლოში ორად იყოფა. მოგრძო, გამხდარი სახის ხასიათს ნაცრისფერი, თხელი კონტური გადმოგვცემს. თეთრი სახე ფერით საერთოდ არ არის მოდელირებული, აქაც მხოლოდ კონტური ქმნის მოგრძო, თხელი, ოდნავ კეხიანი ცხვირის, მორკალული და ნაპირებში დახრილი თხელი წარბების და დიდი თვალების ხასიათს. მხოლოდ თვალის გუგებია დაფერილი ღია ყავისფრად. ხელებიც ყოველგვარ მოდელირებას მოკლებული წვერილი კონტურითაა მოხაზული; მარჯვენა ხელში ბატის ფრთა უჭირავს, ხოლო მარცხენაში, გადაშლილი წიგნი, საიდანაც სინგურით შესრულებული წარწერა იკითხება – „შენ მხოლო ხარ უკვდავი ყ და ძლიერო, რა ეგ“...

ზედა კუთხეებში ცის ორი სეგმენტი გამოსახული. ორივე სეგმენტი ცისარტყელის მსგავსია, საიდანაც ცეცხლოვანი სხივები გამოდის, სხივებიდან კი ყურძნის მტევნების მაგვარი, რუხი ღრუბლები ეშვება. მარჯვენა სეგმენტის ღრუბლების ქულას ორად ყოფს სეგმენტიდან გამომავალი ერთმწყკრივად დაწყობილი მნათობთა გამოსახულებები, რომელთაგანაც ასევე ცეცხლის ენები გამოდის. დასტურად იმისა, რომ ალექსი მესხიშვილი კარგად იცნობდა

¹ მესხიშვილი, ლექსიკონი, 1730, გვ. 7.

საბას სხვა ნაშრომებს, მაგ., „სწავლანი“, ამ დეტალშიც ნათლად ჩანს - აქ ვკითხულობთ: „...რომელ არიან ვარსკვლავნი მოძრავნი: კრონოსი, დია, არია, მზე, აფროდიტი, ვერძი, მთვარე, და დასასარულსა მათსა ეთერი...“.¹ სწორედ ამ თანმიმდევრობის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს მარჯვენა ცის სეგმენტიდან გამომავალი „ვარსკვლავნი მოძრავნი“; გარდა ამისა, ის მახვილწვერიანი ნივთები, ასტროლაბი, ფარგალი თუ სხვა სამწერლობო იარაღები, სულხან-საბას მუდამ სამეცნიერო საქმეში ჩართულობაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ 1730 წლისთვის სულხან-საბა უკვე 5 წლის გარდაცვლილია, ფაქტია, რომ ალექსი მესხიშვილს მასთან უშუალო შეხება ჰქონდა, როგორც ანჩისხატის კალიგრაფიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, სამეფო კარის მაღალჩინოსანთა მრავალი დაკვეთის შემსრულებელს და როგორც ვახტანგ VI-ის კარის „ხელოვანი მხატვრის გრიგოლის ძე“, „XVIII-ის ქართული ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი“² მისი პორტრეტის შექმნისას, აუცილებლად გაითვალისწინებდა საბას პიროვნულ მახასიათებლებს, თუმცა მისი წარმოსახვით გამოყენების საშუალებით და არა უშუალოდ ნატურიდან ხატვით, რადგან საბას ცხოვრების იმ ისტორიული ფაქტების, ექსორიობის, თუ მისიონერული მოღვაწეობის გათვალისწინებით, ალექსი მესხიშვილს საბა ჭაბუკობის ჟამს თუ ეყოლებოდა ნანახი. სწორედ ამ მიზეზით ვხვდებით პორტრეტზე ამგვარ, უფრო ახალგაზრდა საბას გამოსახულებას, ვიდრე ეს „ქილილა და დამანას“ მინიატიურაზე ვნახეთ. სულხან-საბას დღემდე მოღწეული სახისმეტყველების იკონოგრაფიული გამოვლინება დაფუძნებულია მხოლოდ ამ ორ პორტრეტზე, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. ორივე მათგანი შესრულებულია უშუალოდ საბას თანამედროვე მხატვარ-კალიგრაფთა მიერ, თუმცა შემდგომში, მხატვართა შთაგონებას, ე.წ. „საბასეული“ „ქილილა და დამანას“ ხელნაწერში არსებული პორტრეტი წარმოადგენს.

შემდეგ განსახილველი „ჟამსა სიჭაბუკისა“ მყოფი სულხანის პორტრეტი, რომელიც დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი, სულხანის გამოსახულების ყველაზე ახალგაზრდა იკონოგრაფიული სახეა და დართულია 1814 წელს, თავადი ბაგრატ ორბელია-

1 ბარამიძე, ქართული საისტორიო..., თბ., 1979, გვ. 72.

2 ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 158.

ნის გადაწერილ „სიბრძნე-სიცრუსას“ ტექსტის დასაწყისში.¹ სწორედ ამ გამოსახულების გრავიურა შექმნა ლადო გრიგოლიამ 1938 წლის, „სახელგამის“ „სიბრძნე სიცრუსას“ გამოცემისათვის. ტექსტი იწყება ვახტანგ ორბელიანის დღიურის ჟანრული ტიპის თბრობით, სადაც აღწერილია ქალაქი პეტერბურგი, მისი ბაღები და სასახლეების არქიტექტურა. ამ ტექსტის შემდეგ იწყება „წიგნი სიბრძნე სიცრუსა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა, ჟამსა სიჭაბუკისა თვისისასა“. ხელნაწერში მხოლოდ ეს ერთი მინიატიურაა, რომელიც მოხარჩობულია სინგური და შავი მელნის, თითქოს სახაზავს გადაცდენილი სამი სწორი ხაზით. დაბალ მაგიდასთან მჯდომი მწერალი სულხანის გამოსახულებას წიგნის მთელი გვერდი უჭირავს. აქვეა, ბაგრატ ორბელიანის მინაწერიც: „თავადი სულხან ორბელიანი - რომელსაცა აღუწერია ისტორია ესე ჟამსა სიჭაბუკისა თვისისასა“. ალბათ, ამ ცნობამ გამოიწვია ავტორის ამგვარი იკონოგრაფიული სახის შექმნა. ვინაიდან ხელნაწერი 1814 წელს არის გადაწერილი და მინიატიურაც თანადროულია, შესაბამისად, აქ უკვე გამოირიცხება ავტორისა და მომხატველის ფიზიკური კავშირი და მხატვარი შემოქმედებით პროცესში სარგებლობს ზემოთ განხილული ადრეული გამოსახულებებით და ქმნის, ჯერ კიდევ ბერად აღკვეცამდე მყოფი სულხანის და არა საბას იკონოგრაფიულ სახეს. (სურ. 3)

XX საუკუნეში ახლიდან დაიწყო ტექსტების გამართვა, დაკარგულის მოძიება-შევსების საქმე, მხატვრული სახის ახალი პირების შექმნა, საიუბილეო თარიღებისთვის განსაკუთრებული მზადება მეცნიერთა და ხელოვანთა აქტიური ჩართულობით. სწორედ ამ საერთო საქმეს ემსახურებოდა 1938-40-იან წლებში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დაბეჭდილი „სიბრძნე-სიცრუსა“, რომელიც ამ დროისთვის უკვე იყო სათანადოდ შესწავლილი და გიორგი ლეონიძის ღრმა სამეცნიერო გამოკვლევითა და რედაქციით გამოიცა, ლიტერატურულად გამართული პირველი ტექსტი 1928 წელს; იმავე ნაშრომის უფრო სრულყოფილად გამართული ვერსია გ. ლეონიძის წინასიტყვაობით და ს. იორდანიშვილის რედაქციით, მხატვრულად გააფორმეს ლ. გრიგოლიამ (ყდა, ფორბაცი, სატიტულო წარწერა) და ს. მაისაშვილმა (საბას პორტ. და 8 იგავი), რაც „სიბრძნე-სიცრუსას“ მხატვრულად გაფორმებული პირველი ვერსია იყო და გამომცემლობა „სახელგამმა“ 1938 წელს

¹ ორბელიანი, Мудрость лжи, 1814.

გამოსცა.¹ XX საუკუნეში ნაბეჭდი წიგნისთვის, სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტის შესაქმნელად სწორედ ეს მოცემულობა აქვთ მხატვრებს, რომელთა მიზანიც, მეტი სიცხადისთვის რეალისტური სახის გადმოცემა იყო, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორების და საზოგადო მოღვაწეების თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახვა.

ნაბეჭდი წიგნისთვის, საბას პორტრეტის შექმნის პირველ მცდელობაზე, რომელიც ს. მაისაშვილმა შემოგვთავაზა, აშკარად მეტ მხატვრულ გავლენას ახდენს „ქილილა და დამანას“ ხელნაწერში მოცემული საბას გამოსახულება; ამავდროულად ფაქტია, რომ სევერიანს ნანახი აქვს 1814 წლით დათარიღებული პორტრეტიც, რომლის გრავიურაც ლ. გრიგოლიამ შეასრულა და დართულია იმავე გამოცემის ფორზაცზე, წიგნის შემდეგი გვერდები კი სევერიან მაისაშვილის დასურათებული; ხოლო რამდენად აქვს სევერიანს ნანახი მესხიშვილისეული საბას პორტრეტის ვერსია, რთული სათქმელია, რადგანაც შედარებითი მხატვრული ანალიზის საფუძველზე მათ შორის პარალელი ნაკლებად იძებნება. ამრიგად, ს. მაისაშვილი საბას პორტრეტის შექმნისას სარგებლობს უშუალოდ XVII და XIX საუკუნეების მინიატიურული მხატვრობის ნიმუშებიდან, რაც აშკარად ვლინდება მის მიერ ჩამოყალიბებულ საბას იკონოგრაფიულ სახისმეტყველებაზე. ამას ასე გადაჭრით ვერ ვიტყვიოთ ლ. გუდიაშვილის შესრულებულ საბას პორტრეტზე, რომელიც დართული აქვს რუსულ და სომხურ (1938-40 წწ.) გამოცემებს.² (სურ. 4 და 5)

ტრადიციული ინტერპრეტაციისა და ძველ პორტრეტულ სახისმეტყველებასთან კავშირი სტილისტური თვალსაზრისით, ს. მაისაშვილის შესრულებულეული სულხან-საბას პორტრეტის შემთხვევაში მეტად საგრძნობია, ხოლო ლ. გუდიაშვილი, ამ შემთხვევაშიც ბევრად თვითმყოფადია. მეტიც, გარკვეულწილად მაისაშვილისეულ პორტრეტთან უფრო მეტი კავშირია გამოვლენილი, ვიდრე გვიანი შუასაუკუნეების საბას გამოსახულებასთან; მსავსება თმა-წვერის მოდელირებასთან თუ სკუფიის ფორმასთან,

1 იხ.: სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, გ. ლეონიძის რედაქციით, გამომცემლობა „შრომა“, ტფ., 1928 და სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, გ. ლეონიძის წინასიტყვაობით და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, გამომცემლობა „სახელგამი“, ტფ., 1938.

2 Орбелиани, Мудрость Лжи, 1938.

მიგვანიშნებს დაახლოებით ერთ იკონოგრაფიულ სახესთან, რომელთაგან პირველის შემქმნელი ს. მაისაშვილია. გამოკვეთილი კონტურული მოხაზულობითა და პორტრეტული სიმყარით შესრულებული მხატვრული ხაზის შედარებით უფრო თამამი ჩამოყალიბებით, ვიდრე ეს მინიატიურულ მხატვრობაში ვნახეთ. მაისაშვილი ამკვიდრებს საბას პორტრეტის რეალისტურ იკონოგრაფიას და შემდგომ იქმნება გუდიაშვილის და სხვა მხატვარ-მოქანდაკეთა სულხან-საბას პორტრეტული გამოსახულებები.

ამრიგად, მაისაშვილმა შექმნა მიძღვნიტ მინიატიურაზე დაყრდნობით, სულხან-საბას პორტრეტული გამოსახულების ის სტერეოტოპი, რომელსაც მთელი XX საუკუნის მხატვრები ნიმუშად იყენებენ, ლ. გუდიაშვილის 1958 წელს¹ (სურ. 6) შექმნილი პორტრეტის გამოკლებით. აქ უმნიშვნელოა მსგავსება მაისაშვილთან, რაც, ვფიქრობ, განპირობებულია დამოუკიდებელი მუშაობის შედეგზე ორიენტირებით (და, არა ერთიან დაკვეთაზე, რომელიც ზემოთ განვიხილეთ). თუმცა, მსგავსებას XVIII საუკუნის მინიატიურასთან ვერც აქ ვხვდებით და მაისაშვილის მიერ დახატულ საბას პორტრეტთანაც დაკარგულია სტილისტური სიახლოვე. ლ. გუდიაშვილი ბევრად უფრო თვითმყოფადი მხატვრული მანერით გვთავაზობს საბას პორტრეტს. აქ უკვე თვალნათლივ იგრძნობა ინდივიდუალური ხელი და სახის წერის ლადოსეული მანერა. უფრო თავისუფალია შემოქმედებითად და უფრო მეტად მოქნილი ხაზით გარშემოწერს საბას სილუეტურ ფორმას, რაც უკვე ახალი ხედვა და იკონოგრაფიული სახეა ლ. გუდიაშვილის მიერ 1958 წელს შესრულებული საბას პორტრეტის სახით.


მაისაშვილის შესრულებული საბას პორტრეტი ისტორიული ხასიათის გახდა, რასაც ხელი შეუწყო არა მარტო თანამედროვე მხატვრების გატაცებამ, არამედ მისი ხალხში გავრცელებამ. მაგ., გულსაკიდი, საიუბილეო მედალიონი (1948) (სურ. 7); სსსრ-ის ფოსტის 1959 წლის მარკა, რომელზეც ს. მაისაშვილისეული სულხან-საბას გამოსახულებაა დატანილი (სურ. 8); ფაქტია, სხვა მხატვრებისთვის, მაისაშვილის შემოთავაზებული სახე შთაგონების წყარო გამხდარა; ამის მაგალითად შეიძლება უამრავი ნიმუშის მოყვანა, სადაც თავს იჩინს ს. მაისაშვილის შემოთავაზებული პორტრეტული სახისწერა: ლ. გრიგოლიას შესრულებული ყდის გაფორმება 1938 წლის „სახელგამის“ გამოცემაზე; სულხან-საბა ორბელიანის

¹ ორბელიანი, იგავ-არაკები, 1959.

ბიუსტი, რომელიც მოქანდაკე ს. კაკაბაძემ შეასრულა 1947 წელს; საინტერესოა ასევე გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელი“ 1959 წლის 30 ოქტომბერს N26-ში გამოქვეყნებული სრული ფიგურა საბას გამოსახულებით, რომელიც შესრულებულია უცნობი მხატვრის მიერ, სტატია ეძღვნება საბას 300 წლისთავის იუბილეს. 1960-იანი წლების დასასრულამდე, ყველა გამოცემა სარგებლობს ს. მაისაშვილის შესრულებული პორტრეტით, იქმნება ლითოგრაფიურები და ანაბეჭდები, ქვეყნდება საიუბილეო გამოცემების პლაკატებსა და მედალიონებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარამიძე ალ., სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959.
- ბარამიძე რ., ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, თბ., 1979.
- ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967.
- მესხიშვილი ა., სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, გადაწერილია დეკანოზ ალექსი მესხიშვილის მიერ, ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში S-4748; თბ., 1730.
- მეტრეველი ე., გვახარია ალ., სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, საიუბილეო კრებული, 1959.
- სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, გ. ლეონიძის რედაქციით, გამომცემლობა „შრომა“, ტფ., 1928.
- სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, გ. ლეონიძის წინასიტყვაობით და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, გამომცემლობა „სახელგამი“, ტფ., 1938.
- სულხან-საბა ორბელიანი, იგავ-არაკები, მხატვარი ლადო გუდიაშვილი, თბ., „საბლიტგამი“, 1959.
- ხუსკივაძე ი., ქართული საერო მინიატურა XVI-XVIII საუკუნეები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1976.
- Орбелиани Б., Орбелиани, Саба-Сулхан (1658–1726). Мудрость лжи. Сборник басен. 1814. Петербург. Переписчик царевич Баграт. 133 л. Бумага. Портрет автора (акварель). Поступление 1896 г. От М.П. Сабинина. Собр. Сабинина 13.
- Сулхан-Саба Орбелиани Мудрость Лжи; перевод с грузинскою - Ал. Цагарели, ред. - С. Иорданишвили, Художественное оформление - Л. Гудиашвили. 1938.



სურ. 1 ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი, უცნობი მხატვარი, XVII ს.



სურ. 2 სულხან-საბა ორბელიანი, მხატვარი ალექსი მესხიშვილი, 1730 წ.




სურ. 3 სულხან-საბა ორბელიანი, მხატვარი ბაგრატ ორბელიანი, 1814 წ.



სურ. 4 სულხან-საბა ორბელიანი, მხატვარი სევერიან მისაშვილი, 1934 წ.

სურ. 5 სულხან-საბა
ორბელიანი,
მხატვარი ლადო გუდიაშვილი,
1938 წ.



სურ. 6 სულხან-საბა
ორბელიანი,
მხატვარი
ლადო გუდიაშვილი, 1958 წ.



სურ. 7 სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო მედალიონი, 1948 წ.



სურ. 8 სსსრ საფოსტო მარკა 1959 წ.

ART STUDIES

Rostom Kachakhidze

Shota Rustaveli theatre and film Georgia state university
Faculty of Art Science, Media and Management Art Studies (Art
Science - New Georgian Art)

THE ORIGIN AND AUTHOR OF SULKHAN-SABA ORBELIANI'S PORTRAIT, SPREAD IN THE XX CENTURY

Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1725) as a political, social and cultural figure, is the portrayer of the real situation of Georgia in XVII-XVIII centuries. His work is invaluable in that historically most difficult period, when Georgian nation faced to be or not to be times. Exactly then, authored by Sulkhan-Saba, the most important literary works are being written in Georgian, which represent the international cultural treasure today.

The manuscripts, written directly by Sulkhan-Saba, as well as words of praise of his contemporary and next figures can be found in the museum of antiquities. Each of them was the representative of upper strata of society.

Creating a portrait of a public figure like Sulkhan-Saba Orbeliani, became necessary during his lifetime to celebrate his authorial work. In the richly illustrated manuscript of “Kilila and Damana” translated into Georgian by the order of Vakhtang VI, we find Sulkhan-Saba on the dedication-presentation theme image before Vakhtang VI. The manuscript dates back in the second part of the XVII century and ends in Saba’s lifetime. The prominent calligrapher and miniaturist of the XVIII century – Archpriest Alexi Meskhishvili did not miss Sulkhan-Saba’s work and in 1730, he copied the “Dictionary” compiled by Saba, attaching the portrait of the author to immortalize his memory.

These two images were executed directly by Sulkhan-Saba’s associates and images reflecting personal characteristics of Saba, is beyond any doubt.

In 1814, on the endpaper of “A book of Wisdom and Lies” copied by Bagrat Orbeliani, there is Sulkhan’s image in “Juvenile

time” („ჟამისა სიტადბუკისასა“), which already represents the interpretation of miniaturist’s.

From the late middle centuries, only these three miniatures, created by the artistic hand extremely different from each other, became the source of inspiration for the honoured artist of the XX century – Severian Maisashvili and he finalizes Saba’s portrait for the already printed book, which is used as a sample by artists of the XX century and represents the first source of Saba’s iconographic characteristics, widely used today.

Severian Maisashvili’s multifaceted artistic work includes illustrations of original Georgian literature, as well as portrait images of prominent public figures: portraits of kings and writers. Among his works, Sul Khan-Saba Orbeliani’s portrait, which he performed in 1931 based on the portraits in Georgian manuscripts, attracts attention.